

## ეკოსტოპი (Ecostop)

**წამლის ფორმა:** გარეგანი მოხმარების პლასტიკური ფირფიტა, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

### შემადგენლობა

თითოეული ფირფიტა შეიცავს: თიმოლი 5.0 გ; პიტნის ზეთი 2.0 გ.

### გამოშვების ფორმა

1 ცალი მუყაოს ყუთი წარმოდგენილი 6 ფირფიტით.

**ფარმაცოთერაპიული საშუალება:** აკარიციდული საშუალება.

### ფარმაცოლოგიური თვისებები

პრეპარატ ეკოსტოპის აქტიური მოქმედი ნივთიერებები – თიმოლი და პიტნის ზეთი ორთქლდება და აქვს პროლონგირებული სამკურნალო ეფექტი.

თიმოლსა და პიტნის ეთერზეთი ხასიათდება აკარიციდული მოქმედებით ფუტკრების



ვაროატოზის გამომწვევის–“Varroa destructor” ტკიპაზე. ამ ნივთიერებებით ფუმიგაცია იწვევს არა მხოლოდ პარაზიტების მოსპობას, არამედ ასევე ახანგრძლივებს განკურნებული ფუტკრების სიცოცხლისუნარიანობას. თიმოლისა და პიტნის ზეთი ხასიათდება ასევე ბაქტერიციდული თვისებებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ფუტკრების ოჯახების მიკრობულ დაბინძურებას.

ეკოსტოპის ფირფიტები არის ეკოლოგიური პროდუქტი, რომელიც სპეციალურად შემუშავებულია სამკურნალო ფორმაში. იგი არის მოსახერხებელი, ადვილად მისაღები, გამოირჩევა ფუტკრების მიერ კარგი ამტანობით და მაღალი ეფექტურობით ვაროატოზთან ბრძოლაში.

## **გამოყენების ჩვენებები**

ფუტკრების ვაროატოზის და აკარაპიტოზის (ტრაქეის ტკიპა) პროფილაქტიკა და მკურნალობა.

## **გამოყენების წესი და დოზები**

გამოიყენება ეკოსტოპის 1-დან 3-მდე ფირფიტა გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში, ფუტკრების ოჯახების სიძლიერისა და დაავადების სიმწვავის გათვალისწინებით. პრეპარატის ფირფიტა მოქმედებს 45 დღის განმავლობაში.

ფირფიტას ხსნიან უშუალოდ გამოყენებამდე, ათავსებენ კორპუსის ბუდეში მოთავსებულ ჩარჩოებზე.

## **გვერდითი მოვლენები**

არ აღინიშნება

## **დაყოვნების პერიოდი**

არ აქვს

## **შენახვის პირობები**

ინახება მშრალ, კარგად განიავებად სათავსოში, 5°C -დან 30°C -მდე ტემპერატურაზე,

მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისაგან დაცვით, სითბოს წყაროსგან მოშორებით, ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელ ადგილზე.

## **გაფრთხილება**

არ გამოიყენება თაფლის შეგროვების (ღალიანობის) პერიოდში.

არ არის რეკომენდებული ჰაერის +33°C ტემპერატურის ზევით წამლის გამოყენება. უსაფრთხოების სპეციალური წესებს გამოიყენებელი პროდუქტისა და/ან მისი ნარჩენების განადგურებისათვის არ საჭიროებს.

**ვარგისობის ვადა:** ვარგისია გამოშვებიდან 24 თვის განმავლობაში.

**მწარმოებელი ქვეყანა:** “პრიმავეტ-სოფია”, ბულგარეთი.